

შპს ზაზა ფაჩულის კალათბურთის აკადემია

ფინანსური ანგარიშგება

2020


სარჩევი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	2020 ლარი	2019 ლარი
აქტივები		
ძირითადი საშუალებები	9,159,809	9,599,303
სულ გრძელვადიანი აქტივები	9,159,809	9,599,303
სასაქონლო მარაგები	6,178	6,178
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	56,301	68,660
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9,594	9,508
სულ მოკლევადიანი აქტივები	72,073	84,346
სულ აქტივები	9,231,882	9,683,648
ვალდებულებები		
საგადასახადო ვალდებულებები	9,775	18,258
სასესხო ვალდებულებები	113,667	132,848
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	93,031	116,818
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	216,473	267,924
სულ ვალდებულებები	216,473	267,924
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	-	-
გაუნაწილებელი მოგება	203,040	188,932
სხვა რეზერვები	8,812,369	9,226,793
სულ საკუთარი კაპიტალი	9,015,409	9,415,725
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	9,231,882	9,683,648


შპს ზაზა ფაჩულიას კალათბურთის აკადემია
დირექტორის მინდობილი პირი: გიორგი ალავეძე




მოგება-ზარალის ანგარიშგება

	შენიშვნა	2020 ლარი	2019 ლარი
ამონაგები	10	540,681	1,079,178
თვითღირებულების ხარჯი	11	(262,905)	(524,053)
საერთო მოგება		277,776	555,124
ადმინისტრაციული ხარჯები	12	(347,579)	(726,755)
ფინანსური შემოსავალი		22,668	2,870
ფინანსური ხარჯი		(11,717)	(9,907)
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	13	72,959	101,787
მოგება დაბეგვრამდე		14 107	(76,880)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		14 107	(76,880)


შპს ზაზა ფაჩულის კალათბურთის აკადემია
დირექტორის მინდობილი პირი: გიორგი ალავეძე




კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 01.01.2019	9,655,743	265,812	9,921,555
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	(14,609)	-	(14,609)
გაცემული დივიდენდები	-	-	-
სხვა რეზერვების ცვლილება	(414,341)	-	(414,341)
პერიოდის მოგება	-	(76,880)	(76,880)
ნაშთი - 31.12.2019	9,226,793	188,932	9,415,725
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	-	-
სხვა რეზერვების ცვლილება	(414,424)	-	(414,424)
პერიოდის მოგება	-	14,108	14,108
ნაშთი - 31.12.2020	8,812,369	203,040	9,015,409

შპს ზაზა ფაჩულის კალათბურთის აკადემია
დირექტორის მინდობილი პირი: გიორგი ალავეძე




სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის

1. ძირითადი საქმიანობა

შპს ზაზა ფაჩულის კალათბურთის აკადემია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2015 წლის 2 სექტემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, ა.ერისთავ-ხოშტარიას ქ., N 25.

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს საკალათბურთო-სასწავლო მომსახურება და შეჯიბრებების გამართვა-ორგანიზება.

კომპანიის დირექტორი: ზაზა ფაჩულია (პ/ნ 01005006153).

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია

უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ლარი/1 აშშ დოლარი	3.2766	2.8677
ლარი/1 ევრო	4.0233	3.2095

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, აღებულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება აღებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

მოგების გადასახადი

2017 წლის 01 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში მოგების სახით, ხოლო 15% დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როდესაც ძველი მოდელის კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 01 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომელიც არაა ეკონომიკური საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15|85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში. შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციის კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე/მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულების ან წმინდა სარეალიზაციო ღირებულებიდან უმცირესით. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენის, ადგილზე მიტანის და გამოყენებისთვის საჭირო მდგომარეობის მოყვანის ხარჯებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა.

2019 წლამდე კომპანიას ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით გააჩნდა პოლიტიკა, რის მიხედვითაც 1000 ლარამდე ღირებულების ინვენტარი აღიარდებოდა პერიოდის ხარჯად შეძენის მომენტში. მენეჯმენტის გადაწყვეტილებით კომპანიამ 2019 წელს შეცვალა პოლიტიკა და მცირე ფასიანი ინვენტარი აღიარდება აქტივად შეძენის მომენტში.

ცვეთა

ცვეთა აისახება მოება-ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც იგი მზად არის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოსაყენებლად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით შემდეგია:

- შენობები - 20 წელი
- მანქანა-დანადგარები - 10-15 წელი
- საოფისე ავეჯი და ინვენტარი - 5-7 წელი
- კომპიუტერული ტექნიკა - 5 წელი
- ავტომობილები - 10 წელი

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერ მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს, ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება შედის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე.

მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსებისა და დებიტორული დავალიანებისგან.

ავანსები

ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. აქტივების ყიდვაზე გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის დამყარების შემდგომ და თუ მოსალოდნელია, რომ მასთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კომპანია. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგება-ზარალში მათთან დაკავშირებული საქონლის და მომსახურების მიღების შემდეგ. თუ არის იმის ნიშნები, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივების, საქონლისა თუ მომსახურებების მიღება ვერ მოხერხდება, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება, ხოლო წლის მოგება-ზარალში აღიარდება შესაბამისი გაუფასურების ზარალი.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

3. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	კონდიციონერის სისტემა	კომპიუტერი ტექნიკა	სხვა ინვენტარი
პერიოდი 01/01/2019	3,267,000	6,221,804	44,138	390,150	3,219	1,923
შემოსვლა	-	10,854	73,344	-	8,895	9,096
ცვეთა	-	(370,341)	(15,966)	(42,288)	(1,645)	(880)
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
პერიოდი 31/12/2019	3,267,000	5,862,317	101,516	347,862	10,469	10,139
პერიოდი 01/01/2020	3,267,000	5,862,317	101,516	347,862	10,469	10,139
შემოსვლა	-	-	1,240	-	-	830
ცვეთა	-	(370,423)	(23,369)	(42,288)	(2,850)	(2,630)
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
პერიოდი 31/12/2020	3,267,000	5,491,894	79,387	305,574	7,619	8,335

4. სასაქონლო მატერიალური მარაგები

დამხმარე მარაგები მოიცავს მცირეფასიან აქტივებს რომელიც გამოიყენება საოპერაციო საქმიანობაში, მათი გამოყენების ვადის ხანგრძლივობა არ აღემატება 1 საანგარიშგებო წელს

	2020	2019
სხვა დამხმარე მარაგები	6178	6 178
სულ	6178	6 178

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები მიმდინარეა და არ მოიცავს ხანდაზმულ დებიტორებს

	2020	2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	56301	68660
სულ სავაჭრო მოთხოვნები	56301	68660

6. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	2020	2019
ფული საბანკო ანგარიშებზე	9594	9508
საქვეანგარიშოდ გაცემული	0	0
სულ	9594	9508

7. სასესხო ვალდებულებები

	2020	2019
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება	113667	132848
სულ	113667	132848

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2020	2019
სავაჭრო ვალდებულებები	93031	116818
სულ	93031	116818

9. სხვა რეზერვები

კომპანიამ 2015 წლის 3 ნოემბერს უსასყიდლო უზურფრუქტით სახელმწიფოსგან მიიღო 2600 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობა 50 წლიანი ვადით. კომპანია ახდენს აქტივის შემცირებას შენობაზე დარიცხული ცვეთის ოდენობით.

	2020	2019
სხვა რეზერვები და დაფინანსება	8812369	9226793
სულ	8812369	9226793

10. ამონაგები

კომპანიას აქვს როგორც ნულოვანი ასევე დღგ-თი დასაბეგრი ბრუნვა. რომელიც მოიცავს ფართის იჯარით გაცემიდან მიღებულ შემოსავალს.

	2020	2019
ბრუნვა დღგ-ს გარეშე	415367	938096
18%-ით დასაბეგრი ბრუნვა	125314	141082
სულ	540681	1079178

11. თვითღირებულების ხარჯი

თვითღირებულების ხარჯები მოიცავს, ისეთ ხარჯებს, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს მომსახურების გაწევის პროცესში

	2020	2019
მწვრთნელების ხელფასი	(224996)	(318485)
ბარათები	(1860)	(1127)
ბილეთები	(7577)	(72464)
ბურთები	(8548)	(29252)
კვება	-	(7927)
მედიკამენტები	(1595)	(2466)
რეცხვა	-	(47)
სასატუმრო	-	(23934)
საწევრო	-	(17110)
სემინარი	-	0
ტრანსპორტირება	(1146)	(19452)
ტურნირი	-	(152)
ფიტნესი	(725)	(800)
ფორმები	(16458)	(29868)
წყალი	-	(971)
სულ	(262905)	(524053)

12. ადმინისტრაციული ხარჯი

	2020	2019
კომუნალური ხარჯი	(66670)	(86626)
კომუნიკაციის ხარჯი	(5158)	(3567)
საოფისე ხარჯი	(978)	(4924)
საიჯარო ქირა	-	(16775)
ხელფასის ხარჯი	(205450)	(431037)
ცვეთა და ამორტიზაცია	(27140)	(16780)
მივლინების ხარჯი	(3453)	(29353)
დაცვის მომსახურების ხარჯი	(1017)	(1017)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(109)	(2792)
საგადასახადო ხარჯი	(11818)	(25490)
რემონტის ხარჯი	(600)	(29102)
სამეურნეო ხარჯი	(6675)	(15666)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი ხარჯი	(18511)	(63626)
სულ	(347579)	(726755)

13. არასაოპერაციო შემოსავალი/ზარჯი

	2020	2019
კურსთა შორის სხვაობა	2404	(778)
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	(1495)	(3715)
შემოწირულობა	72050	106280
სულ	72959	101787


14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია

2021 წლის 17 სექტემბერს.

შპს ზაზა ფაჩულის კალათბურთის აკადემია

დირექტორის მინდობილი პირი: გიორგი ალავეძე



სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი



60353316110015

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N151036906



რეგისტრაციის თარიღი

18.09.2015 წ

ნოტარიუსი: დავით ჩალათაშვილი
მისამართი: თბილისი, მტკვრის ქ.#4
ტელეფონი: 2952228

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

ორი ათას თხუთმეტი წლის თვრამეტ სექტემბერს, მე, დავით ჩალათაშვილს, საქართველოს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მტკვრის ქ. #4-ში, მომმართა ზაზა ფაჩულიამ (დაბ.10.02.1984, გაცხადებული მისამართი: თბილისი ა.ერისთავ-ხოშტარის ქ. N 25, პირადი #01005006153, პ/მ სერია 13IG10914) რომელმაც განაცხადა, რომ სურდა, გიორგი ალავიძეს (დაბადებული 28/11/1989 წელს, პ/ნ 01036002362, რეგისტრირებული მისამართი: თბილისი გ.საკაძის ქ. N 34) როგორც შპს "შპს ზაზა ფაჩულიას კალათბურთის აკადემია"-ის (ს/კ:404500232) დირექტორმა, მისი მინდობილობის შედეგად და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ზაზა ფაჩულიამ, მომმართა. ასევე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი მის ქმედუნარიანობაში. მე ასევე შევამოწმე მათი უფლებამოსილება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის B15173825, 02/09/2015 17:19:02 საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ ზაზა ფაჩულია ნამდვილად არის შპს "შპს ზაზა ფაჩულიას კალათბურთის აკადემია"-ის (ს/კ:404500232) დირექტორი. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც მოიცავს ზაზა ფაჩულიამ და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

მე, ზაზა ფაჩულიამ, როგორც "შპს ზაზა ფაჩულიას კალათბურთის აკადემია"-ის (ს/კ:404500232) დირექტორმა (მონაცემები მითითებულია ზემოთ), გიორგი ალავიძეს გიორგი ალავიძეს (დაბადებული 28/11/1989 წელს, პ/ნ 01036002362, რეგისტრირებული მისამართი: თბილისი გ.საკაძის ქ. N 34), მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

მე ზაზა ფაჩულია, როგორც შპს "ზაზა ფაჩულიას კალათბურთის აკადემიის" (ს/კ 404500232, შემდგომში კომპანია) დირექტორი წინამდებარე მინდობილობის საფუძველზე, უფლებამოსილებას ვანიჭებ გიორგი ალავიძეს (დაბადებული 28/11/1989 წელს, პ/ნ 01036002362, რეგისტრირებული მისამართი: თბილისი გ.საკაძის ქ. N 34), რომ მან შეუზღუდავად განახორციელოს კომპანიის წესდებით დირექტორისათვის მინიჭებული ყველა უფლებამოსილება (სრული წარმომადგენლობითი და მმართველობითი უფლებამოსილება). აღნიშნული მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: კომპანიის სახელით ხელმოწერების განხორციელება; ნებისმიერ საჯარო თუ კერძო ტრუქტურაში (მათ შორის საფინანსო ინსტიტუტებში) წარმომადგენლობა; ყველა სახის საბანკო ტრანზაქციების წარმოება, კომპანიის საბანკო ანგარიშებიდან გადარიცხვების დადასტურება; საკუთარი შეხედულებისამებრ კომპანიის სახელით დასაბუთებელი ხელშეკრულებების პირობების განსაზღვრა (მ.შ. აქტივების გასხვისებასთან, შეძენასთან, უფლებრივ დატვირთვასთან, ვალდებულებებების აღებასთან დაკავშირებით და სხვა). რწმუნებული ასევე უფლებამოსილია გაცეს მინდობილობები მესამე პირებზე (გადანდობის უფლება).

გიორგი	ალავიძე	უფლებამოსილია	წარმომადგენლობს	სს	"თიბისი	ბანკში"	და
გახსნას, დახუროს, მართოს და განკარგოს ყველა და ნებისმიერი სახის საბანკო ანგარიშები სს "თიბისი ბანკში" და აწარმოოს ნებისმიერი საბანკო ოპერაცია, კომპანიის სახელით დაამზადოს ბიზნეს ბარათი. ასევე, ხელიმოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს/ხელშეკრულებას/შეთანხმებას, მათ შორის სახელფასო პროექტთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებს და შუა სრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია მოცემული დავალებების შესრულებასთან;							
დაარეგისტროს, მართოს, ისარგებლოს, შეცვალოს ან/და გააუქმოს სს "თიბისი ბანკი"- ნებისმიერი პროდუქტი/სერვისი, მათ შორის ელექტრონული პროდუქტები (ინტერნეტ ბანკი, ბანკი კლინტი); ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს/ხელშეკრულებას/შეთანხმებას და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია მოცემული დავალებების შესრულებასთან;							
სს "თიბისი ბანკი"-საგან გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია (მათ შორის ცნობა, ამონაწერი, თანხმობა და ა.შ.) ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს ხელშეკრულებას/შეთანხმებას და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია მოცემული დავალებების შესრულებასთან;							

იყოს წარმომადგენელი სს "თიბისი ბანკთან" და აწარმოოს ნებისმიერი სახის სამართლებრივი ურთიერთობა; გიორგი ალავიძე უფლებამოსილია შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს, გამოითხოვოს და მიიღოს ყველა საჭირო ცნობა, საბუთი და მოწმობა, გადაიხადოს გადასახადები, მოაწეროს ხელი ყველა საჭირო საბუთს და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესრულებასთან. რწმუნებულება ძალაშია 2028 (ორი ათას ოცდარვა) წლის 16 (თექვსმეტი) სექტემბრამდე. რწმუნებულება გაცემულია ექვს ეგზემპლარად, რომელთაგანაც ერთი ინახება ნოტარიუს დავით ჩალათაშვილის სანოტარო ბიუროში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მარწმუნებელს. სანოტარო არქივში ინახება ამონაწერი და წესდება შპს-ს. გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაური, საქართველოს მთავრობის 2011წ. 29 დეკემბრის #507 დადგენილებით დამტკიცებული - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდები წესი და მომსახურების ვადები“-ს შესახებ 31-ე მუხლის შესაბამისად 10 (ათი) ლარი, დღგ 1.80 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა და 39 მუხლის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 2.00 (ორი) ლარი, სულ 13.80 (ცამეტი და 80).

ხელისმოწერა:
 "შპს ზაზა ფაჩულიას კალათბურთის აკადემია"-ის
 დირექტორი ზაზა ფაჩულია

ზაზა ფაჩულია

ნოტარიუსი

დავით ჩალათაშვილი